

# თავისუფალი საქართველო

№37

22 - 28 თებერვალი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## ბაღრი ხარანდია განაგრძობს უიმიზიტობას

როგორც გვაცნობს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიამ, სიკვდილმსჯილი პოლიტიკატი-მარი ბაღრი ხარანდია, რომელმაც 4 თებერვლის მისი მავიდასთან მიმდინარე მცდელობის გამო დაიწყო უიმიზიტობა, დღესაც განაგრძობს საპროტესტო აქცი-ას. ვინაიდან ე.წ. სპეცრეჟიმში მყოფი სიკვდილ-მსჯილები პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში იმე-

რებიან, ეჭვს იწვევს ციხის ადმინისტრაციის გან-ცხადება, რომ მოშიშვლენ თავს კარგად გრძობს. კომისია გამოთქვამს შეშუთებას სიკვდილმსჯილი პოლიტიკატიმრის მდგომარეობის გამო და მოუწოდებს საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგა-ნიზაციების წარმომადგენლებს, დააწესონ მეტოვალურ-ეობა მოშიშვლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

## რეჟიმის პათოლოგიური სახე

16 თებერვლს, დილიდანვე, უხედავს სა-სამართლოსკენ მისასვლელი გზა ორივე მხრი-დან გადაკეტილი იყო პოლიციის გაძლიერებუ-ლი კორდონით, ხოლო სახელმწიფო კონსერვ-ატორიის მხრიდან - ზუბალაშვილების ქუჩის ასასვლელი პოლიციის ორმაგი ჯაჭვით. საგუ-ლისხმოა, რომ პირველ კორდონში იდგა შსს ქალაქის სამმართველოს ოფიცერთა შემადგენ-ლობა, ხოლო მეორეში - შინაგანი ვარის დაკონსოლირებული დამრბეუბი. იქვე თავის როლს უც-დიდა მღებრიშვილის ცნობილი "მაგი ასეული" - დამრბეუბა სპეცდანიშნულების რაზმი.

და ამ უკანასკნელს თავისი დიპლომატიური ხელშეწყობის დამადასტურებელი მოწმობა რომ არ მოეწველებინა, მასაც არ ასცდებოდა პოლიციელები რისხვა.

პოლიციის კორდონის მიღმა გასვლა შეუძ-ლებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ რიგითი მოქა-ლაქეებისთვის, არამედ განსასვლელია ზოგიერთი ნათესავისა და ყურანლისტიებისთვისაც. დაახ-ლოებით 10 საათზე, სასამართლოზე დასვრების მცდელობისთვის, პოლიციამ დააპატიმრა და გი-ოსობიანი მანქანით შსს შთაწმინდის რაიონის განყოფილებაში განაწესა ვახტანგ ქობალიას და, ასაკოვანი ქალბატონი, ნაწული ქობალია, რომელიც დაკავების იმდენად ცუდად შეიქნა, რომ იძულებული გახდნენ, თან გაეყოლებინათ მისი ქალიშვილი რუსუდან პაპასკირი - გზაში ისინი მოატყუეს, საავადმყოფოში წაიყვანათ. პოლიციის განყოფილებაში ქ-ნს ნაწული შეიტ-ყო, რომ იგი სულიერობისთვის დაუკავებიათ.

შეგრებილება კონსერვატორიის შენობასთან გადაინაცვლეს და რამდენიმე საათის განმავლ-ობაში მშვიდობიანად ელოდნენ სასამართლოს დამთავრებას. დაახლოებით 4 საათისთვის, სრუ-ლიად მოულოდნელად, ზუბალაშვილების ქუჩი-დან დაეშენეს სპეცდანიშნულების "მაგი ასეუ-ლის" ნიღბიანი ბიჭები და აქედანაც დაიწვეს ხალხის გაშორება. ამ ოპერაციაში სპეცდანი-ქანებიც იქნა მოწველებული და შეგრებილები ნელ-ნელა ჩამოდევნეს რუსთაველის გამზირზე.

საგულისხმოა, რომ ნაწული ქობალია არ შეუშვეს სასამართლოს შენობაში ქალაქის სამ-მართველოს განყოფილების გამგის, დავით ლი-ნელის მითითებით, იმ მოტივით, რომ მოსა-მართლემ იგი ერთ-ერთ სხვადასხვა დარბაზიდან გააძევა; მოგვიანებით კი, როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციე-ბისთვის, მოაწმინდის რაიონის განყოფილების უფროსმა, ელგუჯა ჯამბურამ, განუცხადა ქ-ნ ნაწულის, რომ იგი საერთოდ არ არის ვახტანგ ქობალიას დედა.

როგორც ჩანს, პოლიციას ეგონა, რომ და-ზაურული ხალხი მორჩილად დაიფანტებოდა. ამის მაგერ კი, საქართველოს ჰელსინკის კავში-რის წევრებმა უშალ გაშალეს სიკვდილმსჯილი პოლიტიკატიმართა დიდი პორტრეტები და პლაკ-ატები, აგრეთვე ელვარდ შევარდნაძის დიდს ფოტო ნამკვლითა და უროთი და ინგლისური წარწერით - "შეგრებილება - ყასაბი", მოსა-მართლემ ალადაშვილის ფოტო წარწერით - "შეკვლევი", და გაუყენეს პროსპექტს სამანქანო ნაწილის ერთ მხარეს, პარლამენტის შენობისკენ. კავშირგაბმულობის სამინისტროსთან მანიფესტა-ციას ძლივს დაწვია გონს მოსული, გაშვარებული სპეცრაზმი და პოლიცია და სასტიკი ცემათ შეაგდო მანიფესტანტები სპეცრაზმის "ფორ-დში".

დღის 12 საათისთვის, როდესაც სხვადასხვა დარბაზში დაუშვეს განსასვლელია ნათესავები (ისიც შეჩვევით), დაზარალებულთა მრავალ-რიცხოვანი ნაცნობ-მეგობრები, სამოქალაქო ტან-საცმელში გამოიწყობილა პოლიციელები და ორი-ოდე ყურანლისტი, შენობიდან გამოაძევეს ყვე-ლი, ვისაც არ ეროდ ადგილი, მათ შორის პრესის წარმომადგენლებიც; პოლიციამ გინებთა და ხელის კრით დაიწყო შეკრებილთა გამო-დევნა მიმდებარე ქუჩიდანაც. საგულისხმოა, რომ ეს შთამბეჭდავი სცენა გათამაშდა "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტისა და აშშ-ს საელჩოს მესამე მდივნის, ბ-ნი თომოთი რინარდსონის თვალწინ

დაკავებულნი იქნენ ლია ბერუაშვილი, ნონა დოჭკირი, ანა ჭავჭავაძე, კლარა შუკვაძე, რევაზ მორგოზია და შემთხვევითი მოქალაქე ქალ-ბატონი. როგორც შემდგომ შეეიტყუეთ, ქ-ნს მთაწმინდის რაიონის განყოფილებამდე მღებრიშვილს არ შეუშვევითა მისთვის ჩვეული უწმასური გინება, ხოლო მისი ბიჭები გამეტებით ურტ-ყამდნენ და თმებით იორეგდნენ ქალბატონებს. ამასთან დაკავშირებით, IGM-ის წევრებმა - ლია ბერუაშვილმა, ანა ჭავჭავაძემ და ნონა დოჭკირმა - შემდგომ განაცხადეს, რომ მღებრი-შვილის ქვევა, მისი ენით აღუწერელი გინება ააშკარავეს არა მხოლოდ მის, არამედ თვით მმართველი რეჟიმის პათოლოგიური უხედავს და ისინი მიიღებენ ყველა ზომას, რათა ეს სახ-ოვადობისთვის საშიში მოვლენა აღმოფხვრას. ასევე ყოველს დაუშვევლად მიანჩნათ ის, რომ შსს ქალაქის სამმართველოს უფროსის მოად-გილე მისეილ სალაძე, სამსახურებრივი მოე-ალოების შესრულებისას, ხშირად არაფხიხელ მდგომარეობაში იმყოფება და ასევე უწმასურად ავინებს მოქალაქეებს.

## "კინოტაპრის" სტუდიაში სიკვდილით დასჯის ნინააღაღა

"კინოტაპრი საქართველოში" - მეტად შფო-თიანი მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა. 16 თებერვლს რუსთაველის პროსპექტზე სიკვდილმსჯილთა დასაცავად გამართული მანიფესტაციისა და დავით აღმაშენებლის პრო-სპექტზე, რუსეთის საელჩოს წინ საქართველო-დან რუსეთის ვარის გაყვანის მოთხოვნით გამართული აქციის დარბევის შესახებ ინფო-რმაცია გადაიცა მსოფლიოს მრავალი საინფო-რმაციო არხით, მათ შორის, რუსეთისა და დსთ-ს ტელევიზიითაც. მიუხედავად ამისა, ქარ-თულმა კინოელიტამ - "ელიტ-მოუბითა" და გადასვლული სურებით (რომელთა შემდგავც სტუმრები, სრულ საჯაროობის პირობებში, სცე-ნიდან უჩიოდნენ ზოგად აშუღილებას), მოახერხა რუსი კოლეგები სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მოექცია.

ამ პეტციას ხელს აწვირენ რუსეთის სა-ხალხო არტისტები - რიმა მარკოვა, ალექს-სანდრე პეტრენკო, ზინაიდა კირიენკო, ევგენი ვარკოვი, ნატალია ფატეევა და რუსეთის დამსახურებული არტისტი - ლარისა უდოვი-ჩენკო.

## სამართალდაცევაში ორგანიზაციის მიმართვა უმეარდნასადმი

16 აგვისტო, 1996 წელი

პატივცემულო პრეზიდენტო! ნება მიბოძეთ, საერთაშორისო სამართალდამ-ცავი ორგანიზაციის - "ჰუმან რაითს უოჩ/ჰელ-სინკის" სახელით, გამოვხატო ჩემი პატივისცემა. მოგმართავთ, რათა გამოიყოვეთ დრმა შეშუო-თება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთ ფორმად კვლავ განაგრძობს არსებობას სიკვდილით დასჯის პრაქტიკა. კერძოდ, ჩვენ გვადლეუებს, სულ ცოტა, სამი ადამიანის - ირაკლი დოკუბის, პეტრე გე-ლბახიანის და ბადრი ხარანდიას ბედი, რომელნიც ამჟამად ამგვარი განაჩენის აღსრულების მოლოდინ-ში არიან. აგრეთვე გვაშუოთებს კიდევ 5 გან-სასჯელების - ჯამბურა ბოქუაშვილს, ზვიად ძიძიგურის, ვახტანგ ქობალიას, ნუგზარ მოლოდინაშვილის და სიმონ უდენტის მდგომარეობა, რომელთაც, წა-ყენებული მუხლით, თუკი მათი ბრალდებულობა დადასტურდება, სიკვდილით დასჯა ემუქრებათ.

კომისიას, თქვენვე ადამიანის უფლებების კო-მიტეტს და საერთო "ჰუმან რაითს უოჩ/ჰელ-სინკის". საქართველოს 1996 წლის 14 ივლისის გა-ნაცხადი ევროსაბჭოში გაწვერიანების თაობაზე, საგანგებოდ აქტუალურს ხდის ჩვენს მომართვას. როგორც მოგახსენებთ, მოსალოდნელია, რომ ევ-როპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოები გახდებიან ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტური თავი-სუფლებების შესახებ 1950 წელს მიღებული საე-როთაშორისო კონვენციის მონაწილენი. ამ კონვენ-ციის მეექვსე ოქმის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ "სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს. არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოტანილი ან აღსრულ-ებული ასეთი განაჩენი".

სამართალდამცავ ორგანოთა ქმედითუნიანობ-ბის დაკნინება ყოველდ დაუშვევლია, მაგრამ "ჰუმან რაითს უოჩ" ნებისმიერ ვითარებაში წინა-აღმდეგაა სიკვდილით დასჯის, როდგან ეს აქტი უკიდურესი სისასტიკის მატარებელია. ჩვეულებრივ, სასიკვდილო განაჩენის გამოყენების სასარგებლოდ მოტანილი არგუმენტები ეფუძნება სარწმუნო მტკი-ცებულებებს იმის თაობაზე, რომ სასჯელის უმად-ლესი ზომა დამამინებლად მოქმედებს პოტენციურ მკვლელებზე და ამგვარად ხელს უწყობს ასეთ ბოროტმოქმედებათა რიცხვის შემცირებას. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1950 წელს ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სამართლიანი უწყობით სიკვდილით დასჯის გამოყენებამ, რაც არღვევს ადამიანის სიცოცხლის ხელშეწყობის წმიდათაშვიდა პრინციპს და ამა-როდებს სასიკვდილო შურისძიებას, სინამდვილეში შეიძლება გამოიწვიოს სისასტიკის ხარისხის მატ-ება სასოგადოებაში.

შუამნიშნულ მოსარბეებს დაემატებოდა იმას, რომ მორატორიუმი თქვენი მონაწილეობა ევ-როპის საბჭოს დანახებებდა საქართველოს შხად-ყოფნას, დაცვას ადამიანის უფლებათა სტანდარ-ტები, რაც ამ ინსტიტუტის ქვაკუთხედს წარ-მოადგენს. ჩვენ უკვე მოგმართეთ ბატონების - დოკუბისა და გელბახიანის თაობაზე, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ამ ადამიანებს, რომლებსაც ციხეში შეე-ხვებით, დაპატიმრებისა და დაკითხვის დროს სა-სტიკად სცემდნენ და აწინებდნენ. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, ხეწოლის ქვეშ მიეცათ აღი-არებითი ჩვენებები, რაც, ფაქტობრივად, იგნო-რირებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ისინი განაჩენის გამოტანის შემდეგ სიკვდილმსჯილებად რჩებიან უკვე 17 თვეა. ჩვე-ნითვის ცნობილია, რომ შეწყალების კომისია ადე-ილად ვერ იღებს გადაწყვეტილებებს.

ჩვენ ასევე შეშუოთებულნი ვართ იმით, რომ სიკვდილით დასჯა ხშირად გამოიყენება დისკრი-მინაციის მიზნით. ეთნიკური, რელიგიური ან პო-ლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ხშირად იქამდე მიყვავართ, რომ სწორედ ეს ფაქტორები წვეტენ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება-არაღსრულებას. უფრო მეტიც, ნებისმიერი სასამართლო სისტემის თანმდევი სიკვდილმსჯილი უფროსი, რომ კანონიერ-რების ზედმიწევნით დაცვის დროსაც კი, სასიკვ-დილო განაჩენი ზოგჯერ უდანაშაულოთა მიმარ-თაც გამოიქვეთ. იმის გამო, რომ სიკვდილით დასჯილს ვეღარ დაიბრუნებ, ამგვარი შეცდომები არ ექვემდებარება გამოსწორებას და მათ გამარ-თლება არა აქვთ.

ჩვენი განაცხადის უპასუხოდ დტოვებას მიე-იღებთ გულგრილობად ესოდენ გადაუდებელი საქ-მის მიმართ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ეს არ აიჩივლება თქვენს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე. დაბეჯითებით გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამ-ოაცხადოთ მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე და უახლოეს მომავალში საერთოდ გააუქმოთ სასჯელის უმადლესი ზომა. ჩვენ ასევე დათენებით მოვითხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა შეწყალების კომისიამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სასიკვდილო გა-ნაჩენების შესარიღებლად. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება არაა მოსალოდ-ნელი, გამოიყენეთ თქვენი საპროზიდენტო უფლ-ებამოსილებიანი სიკვდილმსჯილთათვის სასჯელის შესაღმსუბუქებლად.

სავსებით რეალური ჩანს ასეთი უსამართლობის ჩაფენა საქართველოში, მით უმეტეს კანონიერების უგულვებლყოფის იმ ვითარებაში, რის დემონს-ტრირებასაც ახდენენ მართლწესრიგის სამსახურში ჩამდგარი ძალები და სასამართლო ხელისუფლება. ამ სახელმწიფო სტრუქტურების არასრულყოფილ-ებში გამოწვეული შეშუოთება არაერთხელ მო-უქცევია თქვენი ყურადღების სფეროში ბევრ სა-ინფორმაციო საშუალებას, აგრეთვე ევროპაში უსაფ-რობოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტსა და ჰელსინკის

ბელი საკითხისადმი ყურადღებისთვის. იმედით ვე-ლით თქვენს პასუხს. პატივისცემით, **პოლი კარტნერი** აღმასრულებელი დირექტორი **"ჰუმან რაითს უოჩ/ჰელსინკი"**







# ადვოკატები ითხოვენ განსჯელთა გათავისუფლებას

16 ოქტომბერს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე "ზევიდ გამსახურდიასა და მის მომხრეთა" კიდევ ერთი საქმის განხილვა დასასრულს მოახლოვდა. სხდომაზე ადვოკატებს დაცვითი სიტყვები უნდა წარმოეთქვათ. და ბუნებრივია, მართლმსაჯულების ტრიადამ - სასამართლომ, პროკურატურამ და შსს-მ თავიდანვე იხრუნა, მაქსიმალურად შეეხლუნა სხდომაზე დამსწრეთა რიცხვი.

დიდიდანვე უზენაესი სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორია ბლოკირებული იყო მილიციისა და "ომონის" ნაწილებით. ხელკეტებიანი მილიციელები, როგორც თვითონ აღნიშნეს, ასრულებდნენ "ბრძანებას" და სასამართლო პროცესს მოსულ ხალხს უკან აბრუნებდნენ. რაღაც სასწაულით, სასამართლო დარბაზში მხოლოდ რამდენიმე პურნალისტმა შეაღწია. პრესისა და ტელევიზიის, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები სასამართლო პროცესზე არ დაუშვეს.

პროცესის დაწყების წინ მოსამართლე ალადაშვილს ვაცნობეთ იმის შესახებ, რომ პრესის წარმომადგენელთა შემოსვლა პროცესზე ბლოკირებულია. ამისდა მიუხედავად, მას სათანადო ზომები არ მიუღია.

პროცესი ხობში ტრაგიკულად დასრულდა. პურნალისტის, დავით ბოლქვაძის დედის განცხადებით დაიწყო. მან თხოვნით მიმართა მოსამართლე ალადაშვილს, რომ, თუ ეს შესაძლებელია, არ დახვრიტონ ბოქვაძე და მიძიგური, ან ერთ-ერთი მაინც, რადგან ისინი დაოჯახებული არ არიან. რაც შეეხება ქობალიას, მისი აზრით, იგი სასჯელის

ამ ზომას იმსახურებს. მოგვიანებით კი მოსამართლე იძულებული გახდა, დარბაზიდან გაეძევათ დავით ბოლქვაძის დედა, რომელმაც შეურაცხყოფა მიიყენა ქობალიას ადვოკატს, ოთარ ფანქველიანს. დარბაზიდან გააძევეს კიდევ ერთი დაზარალებული, რომელმაც ვამბულ ბოქვაძეს ადვოკატის, მარინე ალანას შეურაცხყოფა სცადა.

შემდეგ დაცვითი სიტყვები წარმოთქვეს ადვოკატებმა. მათ სასამართლოს წარუდგინეს განსაჯელთა განცხადებები, რაზედაც ალადაშვილმა განაცხადა, რომ "განცხადებები არ აინტერესებს", თუმცა, პროცესის დაწყებისას მან დიდი გულსიყვრით მიიმინა ბოლქვაძის დედის განცხადებას.

ვაშტანე ქობალიას ადვოკატი ოთარ ფანქველიანი ძირითადად შეეხო მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ 104-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების ეპიზოდებს, გააანალიზა სასამართლო ძიების დროს მოწმეთა დაცვების შედეგად გამოვლენილი ვითარება და დამატებით დასაბუთა, რომ სასამართლოზე ვერ მოხერხდა ვაშტანე ქობალიას ბრალდებების დამტკიცება ტყვეებისა და მით უფრო პურნალისტ დავით ბოლქვაძის დახვრეტის ფაქტთან დაკავშირებით.

ვაშტანე ბოქვაძეს ადვოკატმა მარინე ალანამ დაწვრილებით გააანალიზა 65-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება, დასაბუთებულად განუზარტა სასამართლოს, რომ განსაჯელთა ქმედებები არ წარმოადგენს საშინაობის დღალტს და ამის დამტკიცება არ მოხდა არც სასამართლო-სამსჯელო ძიების პროცესში. რაც შეეხება ზვიად მიძიგურის ადვო-

კატს, ოთარ ჩილოშვილს, მისი სიტყვა კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ ზვიად მიძიგურს დამცველი ფაქტობრივად არ ჰყოლია. იგი მხოლოდ ზოგადად შეეხო თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ბიოგრაფიას და მის მიმართ წარდგენილი ბრალდებების არადაზარალებლობა აღნიშნა.

ნუგზარ მოლოდინაშვილის ადვოკატს, გვი მორჩილაძეს, ასევე არ მიეცა საშუალება, წაეკითხა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის განცხადება. მან აღნიშნა, რომ განსაჯელის ბრალდებების დამდასტურებელი სარწმუნო მტკიცებები არც საბრალდებო დასკვნაში არის მოცემული და არც სასამართლო პროცესზე დადგინდა.

ადვოკატები ერთსულდგინდნენ იყენებოთ მოთხოვნაში - კი არ შეიწყვილონ, არამედ სასჯელისგან გაათავისუფლონ ოთხივე პატიმარი, რადგან ამ სასამართლო პროცესის მანძილზე მათი ბრალდებების საკითხი ვერ დადასტურდა.

ამ დღეს მოსამართლე ალადაშვილმა კვლავ გამოიჩინა მისთვის ჩვეული კრიტიკული კაცობიერება. ვიხსენის მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა ანდრია, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თხოვნით მიმართა მას, მიეცა საშუალება შესვედროდა მის სულიერ შვილს, ზვიად მიძიგურს, აღსარების მოსაღებად და ზიარებისთვის. მამა ანდრია საერთოდ არ შეუშვეს შენობაში, ხოლო მის წერილობით განცხადებაზე მოსამართლე უარით უპასუხა და მდივნის ხელით გამოუგზავნა ქუჩაში მდგარ არქიმანდრიტს.

19 ნოემბრამდე სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა.

15 ნოემბერს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის თეატრთან დაკავშირებული ფაქციური შენიშნებოდა, სრულიად მოულოდნელად, შენობა "ომონს" დაიკავა. ომონელებმა უნივერსიტეტის თანამშრომლები გამოიყარეს საშუალო ოთახებიდან და ითხოვნეს მათგან, საერთოდ დაეტოვებინათ შენობა. განცვ-

რომ ამ ნივთებთან დაკავშირებით მწიფოს მეთაურის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, ახლა "ადამიანი-ბომბი" ძიებას შეუდგნენ. დარბაზში შემსვლელს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ (ეს უსაბოლოო პროცედურა გააიარეს თვით ივ. ჯავახიშვილის უახლოესმა ნათესავებმაც კი), ხოლო დარბაზში შესულს უკან გამოსვლის უფლებას ადარ-

# ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას "ომონელები" იხსენებენ

იფრებული და შენიშნული, უნივერსიტეტის ავტონომიისთვის მებრძოლი პროფესორ-მასწავლებლების შეკითხვაზე, თუ რა საფრთხე ელის "ცოდნის ტაძარს", "ომონელებმა" პასუხობდნენ, რომ ისინი იცავენ სახელმწიფოს მეთაურის უშიშროებას, რომელიც თვითღვს უნდა დაეცვლოს.

"ომონელებმა" გადაკეტეს ყველა შესასვლელი და გასასვლელი, ჩარახეს ტუალეტები და დაიწყეს ჩხრეკა. ისინი განსაკუთრებული გულსიყვრით სინჯავდნენ ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ ნივთებს. ერთ-ერთმა მათგანმა დიდი მენიურის ჩალის ქუდი კონკრეტულად აქცია. ხოლო როდესაც დარწმუნდნენ,

აძლევდნენ. ამ აურზაურსა და რია-რიაში, "სიმამაკით" განთქმული მეთაურიც გამოჩნდა. საუბრელო საღამოს მანძილზე, დიდი მეცნიერის სახელთან ერთად, უხვად გაისმოდა დიტირამები დიდი პოლიტიკოს-ისტორიკოსის მიმართაც. "ომონის" მეთაურების ქვეშ ჩატარებულმა საიუმბოლო საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა და, ჩვეულებისამებრ, "ფურცელი" დაგვირგინდა. სარწმუნო წყაროებით შევსრულდნენ, რომ "დემოკრატიისთვის" მებრძოლი და თავდადებული მეცნიერის მემკვიდრე "ფურცელი" რატომღაც არ დაპატივეს.

# ღია ნაბიჯი მოსამართლეს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრს - ალექსანდრე ალადაშვილს

ბატონო ალექსანდრე, მინდა გითხრა ის, რის თქმასაც ვერ შეძლებდით პირადად თქვენთვის, ეგოვდნენ მრავალწევრობანი (თქვენთვის დამახასიათებელი) ხელოვნური ბარიერების გამო. ამჯერად არ ღირს საუბარი იმ უსამართლობის შესახებ, რითაც იმხანაში მხოლოდ თქვენი თავმჯდომარეობით წარმართული სასამართლო პროცესი "ზევიდ გამსახურდიასა და მის მომხრეთა" საქმის თაობაზე, რამაც მხოლოდ მე კი არა, ყველა ნორმალური ადამიანი ალშუთა. ამასთან დაკავშირებით საპროტესტო ტექსტებს თქვენ და ხელისუფლებას (ალბათ, არცთუ კმაყოფილებით) კითხულობთ და ისმენთ. სასამართლო პროცესის მართვა თქვენზე რომ არ არის დამოკიდებული, ეს ხომ ისედაც ნათელია! მაგრამ თქვენ, როგორც ადამიანს, მცირედ გაბრბოვებამ მოგაქმენებოდათ ალბათ, ის მაინც რომ გაგეკეთებინათ, რაც თქვენი უფლებების მიღმა არ ვერცხდებოდა. თქვენ კი ესეც არ ისურვეთ. მხოლოდ ერთი ფაქტი მის მოხმობადა მჭირდება ამჯერად: თქვენ ერთხელაც არ მიეცით უფლება სასულიერო პირს (ეპისკოპოსს, მეღვდელს, სულიერ მოძღვარს) შეხვედროდა განსაჯელებს და საეკლესიო წესი შეესრულებინა. ნუთუ თქვენვე არ უნდა იყოთ დაინტერესებულნი, ღვთისკენ და სიამართლისკენ მიაბრუნოთ პატიმარი?! მაგრამ ჩვენს ქვეყანაში პირველად - განსაჯელი მოუწოდებს მოსამართლეს, ღვთის შიში იქონიოს! 16 ოქტომბერს (1996 წლის) თავისი სულიერი შეილისთვის პროკურორთა მიერ სასიკვდილო განაჩენის მოთხოვნის გამო შეწუხებულ მოძღვარს ხელკეტებით შეიარაღებულმა პოლიციის კორდონმა უზენაესი სასამართლოს შენობაში შესვლის უფლება არ მისცა. 17 ოქტომბერს (1996 წლის) თქვენ განცხადებით მოგმართათ მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა ანდრია. იგი თავისი სულიერ შვილთან - ზვიად მიძიგურთან შეხვედრის ნებართვას გთხოვდათ. თქვენ კი, ამჯერადაც, გაუგებარი და არაარგუმენტირებული უარი განაცხადეთ.

ბატონო მოსამართლე! შეგახსენებთ: ადამიანი პქვია ადამის მოდგმის ძეს,

ღვთის ხატს და მსგავსს თავისი ზნეობით, სულიერებით, ცხოვრების წესით. თქვენ ეს ღირსება არ დაგიმსახურებიათ (თქვენც იცით? თქვენზე ჩურჩულდნენ (თქვენვე დამცავი მრავალწევრობანი "ბარიერებიდან"): მას შეუძლია გმირად იქცეს; თუ სასამართლო პროცესზე იმ განაჩენს კი არ წაიკითხავს, რასაც ზვიად უკარნახებენ, არმედ, ხელისუფლებათვის მოულოდნელად... და ა.შ. ... ბევრი - ბევრი, სამსახური დაკარგოს...

პატარა კაცები გმირებად ვერ იქცევიან, ბატონო ალექსანდრე! გმირებად იბადებიან!.. და მე, მართალი გითხრათ, არ მჯერა, რომ თქვენ იმ ნაბიჯს გადადგამთ, რასაც თქვენი კეთილი ნება გიკარნახებთ. არ მჯერა, რომ ოდესმე რაიმეს გაიღებთ მსხვერპლად სიამართლის სასარგებლოდ, - სამისოდ თქვენ მტრისმეტად პრაქტიკული მოსარჩეობით ცხოვრობთ ამქვეყნად. გულახდილად გეტყვით, არც ის აზრი გამოდგება თქვენთვის დამამშვიდებლად - დღეს კიცხვიერი უსრულელოდ, ხვალ კი რა იქნება, არ მაინტერესებს. ამჯერადაც გაგაწბილით უნდა და შეგახსენოთ: ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული! ჩვენ, ყველანი, მარადიულად ვიცოცხლებთ (გარდაცვალების შემდგომ), ზოგნი - ტანჯვაში, ზოგნი - ნეტარებაში!.. გასსოვი? ერთხელ შეგახსენეთ - ღვთის სამართალი შეგახსენოთ სამართალზე დიდიამეთქი. აი, ამ შეუცვლელი და გარდუვადი სასამართლოსი გეშინოდეთ!..

დაბოლოს: არაერთი დიდებული ადამიანის ცხოვრება ღვთისად დარჩენილი ერის ისტორიაში. ბედნიერია ის ერი, რომელიც ასეთ შედეგს ზრდის!.. ეს თქვენ იცითხეთ, ბატონო მოსამართლე, და თქვენმა მოდგამმა, რომელთა სახელებსაც ისტორია, როგორც ჭკუძეს, - წამოივრცეს. თანაგვიტოვებთ, და გულწრფელად ვქუხაროთ თქვენ გამო, მაგრამ... ყოველი ადამიანი თვითონ ირჩევს თავის ხვედრს!..

თამარ შათირიშვილი  
სტუდენტი

# გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი საგვიგნოს ქართველ ხელისუფალთ

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ოთხმა ქართველმა პოლიტიკატიმარმა - ირაკლი დოკვაძემ, პეტრე გელბახიანმა, ზაზა წიკლაურმა და ვიქტორ დომუხოვსკიმ - საჩივრით მიმართა გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტს მათ საქმეში არსებულ უხეშ დარღვევათა და ტენდენციური განაჩენის თაობაზე. ამ ცოტა ხნის წინ ოთხივე მათგანმა მიიღო წერილობითი პასუხი. გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ ვრცელი წერილიდან.

7. 3. ბატონი წიკლაურის მიმართ, თანხლები დოკუმენტებით, რომლებიც ასაბუთებდნენ მის საჩივარს, 1995 წლის 11 მაისს გადაეგზავნა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ არანაირი პასუხი არ ყოფილა, მიუხედავად ჩვენს მიერ 1995 წლის 30 ოქტომბერს გაგზავნილი განმეორებითი შესხვნებისა.

7. 4. 1995 წლის 17 მარტით დათარიღებულ წერილში დოკტორი პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე ადასტურებენ თავიანთ უდანაშაულობას და მოითხოვენ კომიტეტისგან ჩარევას. მათი ეს მოთხოვნა გადაეგზავნა საქართველოს ხელისუფლებას 1996 წლის 16 მაისს რეაგირებისთვის, მაგრამ პასუხი ასევე დღემდე არ არის მიღებული.

კომიტეტის ხელთ არსებული მასალები და მისი ამოცანები

8. 1. კომიტეტი აღნიშნავს, რომ 4-დან 2 მომჩივანს მისჯილი აქვს პატიმრობა, ხოლო ორ სიკვდილისთვის დაკავშირებით, დაჟინებით იძულებულია ახსნა-განმარტება ან განაცხადს, სადაც ჩამოყალიბებული იქნება დარღვევათა მიზეზები ან მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები, თუ ასეთს ექნა ადგილი.

საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, მოეთხოვოს ხელისუფლებას, არ მოიყვანონ აღსრულებაში სასიკვდილო განაჩენი ბატონების - დოკვაძისა და გელბახიანის მიმართ, სანამ მათი საჩივარი იხილება კომიტეტის მიერ. ეს მოთხოვნა არ ნიშნავს საჩივრის არგუმენტირებულობის რაიმეგვარ შეფასებას.

პროტესტო კოდექსის 87-ე მუხლის გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს, რამდენად ექვემდებარება მასში მოხმობილი ფაქტები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო ოქმებს.

8. 3. კომიტეტმა უნდა დაადგინოს, როგორც ამას მოითხოვს ფაქტობრივი ოქმის მე-5 მუხლის მე-2 (ა) პარაგრაფი, რომ იგივე საქმე არ განიხილება საერთაშორისო გამომძიების რაიმე სხვა პროცედურით ან გადაწყვეტილებით.

8. 4. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მრავალჯერადი შესხვნების მიუხედავად, ხელისუფლების მხრიდან, საქმეზე, არ არსებობს თანამშრომლობის სურვილი. მის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კომიტეტი თვლის, რომ ეს წინააღმდეგობა ვერ გახდება საჩივრის განსახილველად ხელის შემშლელი ფაქტორი, რასაც ითვალისწინებს ფაქტობრივი ოქმის მე-5 მუხლის მე-2 (ბ) პარაგრაფი.

8. 5. მის ხელთ არსებული განსახილველი საქმიდან გამომდინარე, კომიტეტი შენიშნავს, რომ მომჩივანთა მიერ მრავლად მოყვანილი ფაქტები, მათი მტკიცებები ხელისუფლების მიერ კონვენციის დარღვევის შესახებ, სარწმუნო ჩანს. კერძოდ, ეს ეხება მე-7, 9, 10, 14, 15, 19, 21 და 25-ე მუხლებს, რომელთა ხარისხი უნდა იქნეს შემოწმებული.

9. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ:

- ა) მომჩივანთა განცხადებები მიღებულია განსახილველად;
- ბ) ფაქტობრივი ოქმის მე-4(2) მუხლის თანახმად, ხელისუფლებას ეთხოვოს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში გადასცეს კომიტეტს წერილობითი ახსნა-განმარტება ან განაცხადი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება დარღვევათა მიზეზები ან მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები, თუ ასეთს ექნა ადგილი.

საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, მოეთხოვოს ხელისუფლებას, არ მოიყვანონ აღსრულებაში სასიკვდილო განაჩენი ბატონების - დოკვაძისა და გელბახიანის მიმართ, სანამ მათი საჩივარი იხილება კომიტეტის მიერ. ეს მოთხოვნა არ ნიშნავს საჩივრის არგუმენტირებულობის რაიმეგვარ შეფასებას.

ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ახსნა-განმარტებანი, საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გენერალური მდივნის მიერ გადაეგზავნება მომჩივნებს მოთხოვნით, რომ კომენტარები, რომელიც მათ სურთ დაურთონ ამ ახსნა-განმარტებებს, მიღებიდან 6 კვირის მანძილზე ისევე დაუბრუნდეს ადამიანის უფლებათა კომიტეტს გაერო-ს შენების შტაბბინაში მდებარე ადამიანის უფლებათა ცენტრის მეტოქე-აღყურების ქვეშ.

ეს გადაწყვეტილება ეცნობის როგორც ხელისუფლებას, ასევე მომჩივნებს და მათ ადვოკატებს.



(დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო" №34, 35)

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაულის

## ინტერვიუ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრთან, მარკ ალმონდთან

კორესპონდენტი: - როგორ ახსნით დასავლეთის განსხვავებულ დამოკიდებულებას გამსახურდისა და დუდაევის მიმართ?

მარკ ალმონდი: - მე დარწმუნებული არ ვარ, რომ დიდი განსხვავება იყო მათდამი დამოკიდებულებაში. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენების წინააღმდეგობა უფრო წარმატებული იყო.

თუ უფრო ადრინდელ მოვლენებს გადავავლებთ თვალს, გასათვალისწინებელი იქნება, რომ ზვიად გამსახურდიას არჩევნებში გამარჯვება, ხოლო მოგვიანებით თავისუფალი, საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები იმ დროს დაემთხვა, როცა არამართო საბჭოთა კავშირი არსებობდა, არამედ ჯერ კიდევ გორბაჩოვი იყო სახელმწიფო ლიდერი და დასავლეთის ლიდერები - ბუში, მიჯორი და სხვები ფიქრობდნენ, რომ გორბაჩოვს შეუძლია გარდაქმნას საბჭოთა კავშირი ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მათ არ ესმოდათ, რომ თუ იმპერია მართლაც დემოკრატიული გახდებოდა, ბუნებრივად დაისმებოდა საკითხი მისი კომპონენტების, ანუ იმპერიაში შემაჯავალ რესპუბლიკათა თვითგამორკვევაზე. ეს ხომ არავისთვის იყო დაფარული, რომ საბჭოთა კავშირი გახლდათ იმპერია არჩევნების გარეშე, ანუ ძალადობის პრინციპზე შექმნილი იმპერია. სწორედ ასევე მოხდა ბრიტანეთის იმპერიაშიც, რომელიც, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო ადამიანური იყო, ვიდრე წითელი რუსეთი. როგორც კი დამოუკიდებლობის შანსი გაჩნდა, ყველამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. ასე რომ, იმპერიათა მცდარი იყო დასავლეთის იმედები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის დემოკრატიული გარდაქმნა შესაძლებელი გახდებოდა მისი დაშლის გარეშე. ამიტომ, დასავლეთს დიდად ადამოფობიური იმედების საქციელი (და გასახურდია, ალბათ, კლასიკური მაგალითი იყო ამისა), ვინც ეჭვი შეიტანდა დასავლეთის "მორსმეტრეტელობაში" და ხმაზადა

განაცხადა - ვერ ხედავთ, რომ დემოკრატია და იმპერია შეუთავსებელი ცნებებია, მიაბიტიბაა გვეროდეთ, რომ იმპერიაში დემოკრატია გაიფურქვინება; ან დემოკრატია იქნება, ან იმპერია - დემოკრატია იმპერიის დასასრულია.

დუდაევი თავიდან სერიოზულადც კი არ აღიქმებოდა დასავლეთის მიერ. ჩვენთან შედარებით, საქართველოს იცნობდნენ, ქართული ცივილიზაციის სიმკვლედიან გამომდინარე, მაინც პატივისცემით იყვნენ განმსჭვალული საქართველოს მიმართ. ჩვენები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ერები კი საერთოდ უცნობი იყვნენ ევროპელებისთვის. ამიტომ, შედარებით ადვილი იყო მათი დარწმუნება იმაში, რომ ჩვენები მავთოების, ბანდიტების და ბოროტმოქმედთა ერია. მაგალითად, მახსოვს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამსახურის მინისტრმა, ჯუგლას პერდამ, 1995 წელს მითხრა, რომ ეს ხალხი მხოლოდ და მხოლოდ მავთოებით არიანო. მაშინვე აღვშოთი - ვის გაუგია, მაფია T-72 ტანკებით იბრძოდეს ქუჩებში თავისუფლ შეუდარებლად დიდი მტრის წინააღმდეგ. მაფიას მხოლოდ უარალო ხალხის, მოხუცების და ქალების დაშინება შეუძლია, რათა საკუთარი თავდაცვა უზრუნველყოს. თავისუფალი ძლიერობის იმის შესახებ და დამოუკიდებლობის არიან. ამის კლასიკური მაგალითია "შენდრიონი". "შენდრიონი" კარგად ახერხებდა ჩვეულებრივი ქარ-

თველების ტერორიზმებს, მაგრამ დიდი გმირობით ვერც აფხაზეთის, ვერც რუსის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინოდა. მეტიც, შეგარდნაძის პოლიტიკასაც კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა.

ასე რომ, ეს საყოველთაო, ერთიანი კონცეფცია ჩვენების შესახებ, როგორც მავთოების და ბანდიტების ერის შესახებ, ძალზე მომგებიანად იქნა გათამაშებული დასავლეთში. აქ ხომ მრავლად არიან ისეთები, ვისაც ლენინი "სასარგებლო იდიოტებს" უწოდებდა - ყრუ-მუნჯები, ანუ ევროპული ურუნალიტები, რომლებიც მონღოლებით სურგავდნენ იღვას ჩვენები ერის დანაშაულებრივი ბუნების შესახებ. მათ თავისი საქმე გააკეთეს. შედეგად შეიქმნა ჩვენების ხალხის მეტად არამომგებიანი ხატი. 1994 წელს, როცა დაიწყო ეგრეთ წოდებული ჩვენური კრიზისი, დასავლეთის მთავრობათა და მედიის მხრიდან დიდი სიმპათია იგრძნობოდა რუსების მიმართ - ისინი ხომ ჩვენებში წესრიგის და კანონიერების აღსადგენად შევიდნენ. ამ აზრს ეროსლონად იზიარებდნენ სხვადასხვა პოზიციის და ორიენტაციის ადამიანები, მათ შორის ისინიც, ვინც საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებად იყვნენ მიჩნეულნი. პრესაში განჩნდა წერილები, სადაც დასაბუთებული იყო, რომ მნიშვნელოვანია რუსების მხარდაჭერა ამ საქმეში. იმასაც კი ამბობდნენ,

რომ თუ ინგლისის ერთი ქვეყნის (საქართველო) კორნუელი) თავს დამოუკიდებლად გამოცხადებდა, შეიძლება ბრიტანეთიც ასეთი ქვეყნის (საქართველო) იქნება; იქვე დასძინდნენ (რამე მოულოდნელი ექსცესისგან თავის დასაღვევად), რომ ეს, რა თქმა უნდა, განსხვავებული შემთხვევაა, რადგანაც პრაქტიკულად არავის უღაპარაკია კორნუელის დიპლმატიკური დაახლოებით 200 წლის მანძილზე და ამიტომ ინგლისს ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ ეტყურებათ. ყველა შემთხვევაში, აბსურდულია აზრი იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მთავრობა 400000 კაციან ქალაქს დაბომბავდა, როგორი კრიზისიც არ უნდა ყოფილიყო იქ.

დაკურნდნენ ისევე გამსახურდიას. რადგან დასავლეთში ნაციონალიზმი ასოცირდება ფაშისმთან, ანტიდემოკრატიული იდეებთან, ძალიან ძნელი იყო დასავლეთისთვის 80-90-იან წლებში იმის გაგება, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალიზმი და დემოკრატია უპრობლემოდ თავსდებოდა ერთმანეთთან. ამ დროს კი პირიქით უნდა ყოფილიყო - დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც არ შეეცდებოდა აღედგინა ეროვნული ინდივიდუალობა, ნაციონალური ენა და კულტურა, ალბათ, სრულფასოვან საზოგადოებად ვერ ჩაითვლებოდა. დასავლეთმა არ ისურვა დანახა, რომ ლიტვლებს და ქართველებს შეეძლოთ ეფრიალებინათ თავიანთი ნაციონალური დროშები და ამავე დროს დემოკრატის გულშემატკივარი ყოფილიყვნენ (ინგლისშიც და გერმანიაშიც საშინელი დამოკიდებულება ნაციონალური დროშების ფრიალის მიმართ, ეს გათვითგებული ფაშისმთან). რაც შეეხება ჩვენებს, მათდამი უნდობლობის საკითხი, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეგონებოთ, იქ ომის გაგრძელებამ მოხსნა დღის წესრიგიდან. ეს ომი იმდენ ხანს გაგრძელდა, რუსეთმა იმდენი ბარბაროსობის ჩადენა მოასწრო, ხოლო ამის საპირისპიროდ ისე კეთილშობილურად იქცეოდნენ ჩვენები, რომ თავისთავად გაბათილდა ყველა ბრალდება "მავთოური ერის" მიმართ.

(გაგრძელება იქნება)

### TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

No37 (in brief)

22 - 28 October, 1996

#### The Lawyers are Demanding to Release the Defendants

On October 16 the Court hearing of one more case from the series of ongoing hearing Cases of "Zviad Gamsakhurdia and his Supporters" approached the end. At the Court Session the lawyers were supposed to pronounce their speeches in defense and naturally the tirade of Justice - the Court, the Prosecutor's Office and Ministry of Internal Affairs - took timely precautions to maximally limit the number of attendants of the Court Session.

From the early morning the territory adjacent to the building of the Supreme Court was blocked by the police and detachments of special destination. The policemen armed with truncheons were basing on their own statement fulfilling the "order" and did not allow the people who came to attend the hearing to enter the building of the Court. Only few journalists miraculously managed to penetrate into the building of the Court. The representatives of press and TV as well as various Human Rights Organizations were not allowed to attend the Court Session.

Before opening the hearing we informed the judge Aladashvili that the representatives of the press were not allowed to attend the hearing. Irrespective of this he did not do anything to improve the situation.

The hearing started with the statement of the mother of the journalist who tragically perished in Khobi. She appealed to judge Aladashvili with the request not to sentence to death Mr. Bokuchava and Mr. Dzidziguri or at least one of them if it was possible since the both of them were unmarried. As for Mr. Kobalia to her opinion he deserved that punishment. later the judge was impelled to remove the mother of David Bolkvadze from the Court Hall because she had

offended Mr. Otar Pankvelashvili - the lawyer of Mr. Kobalia. One more victim was removed from the Court Hall for the attempt to abuse Mrs. Marine Alania, the lawyer of Mr. Jambul Bokuchava.

Then the lawyers pronounced their speeches in defense. The presented the Court with the statements of the defendants in answer to which the judge Aladashvili declared that he was not interested in those statements. Which was strange since at the very beginning of the hearing he very attentively listened to the statements of Mr. Bolkvadze's mother.

Mr. Otar Pankvelashvili, the lawyer of Mr. Vakhtang Kobalia, mainly dwelled on the charge brought basing Article 104 of the Criminal Code. He analyzed the picture obtained as a result of interrogation of witnesses in the process of Court investigation and convincingly grounded that in the process of Court investigation the accusation of Mr. Kobalia in personally shooting down several prisoners of war and a journalist David Bolkvadze was not confirmed by adequate proofs.

Mrs. Marine Alania, the lawyer of Jambul Bokuchava, provided a detailed analysis of the charge brought against her client basing on Article 65 and presented to the Court well grounded arguments proving that the actions of her client could not be considered as High Treason and the Court investigation also failed to prove it.

As for Mr. Otar Chigoshvili, the lawyer of Mr. Zviad Dzidziguri, his speech once more confirmed, that Mr. Zviad Dzidziguri was actually left without a defender. The lawyer only very generally spoke about the biography of his client and just mentioned that the charged brought against him were unconvincing.

Mr. Givi Mochiladze, the lawyer of Mr. Nugzar Molodinashvili was not given the opportunity to read the statement of his client either. He noted that neither indictment nor Court investigation managed to provide the convincing proofs

of guilt of his client.

The lawyers were unanimous in their demand not to pardon defendants but to directly release them from the Court Hall, all four of them, since in the course of Court investigation the charges brought against them were not confirmed.

On that very day the judge Aladashvili once more demonstrated his Christian love of fellow-men: the priest of Jikheti Monastery, Archimandrite Father Andria with the blessing of the Patriarch appealed to the judge with the request to allow him to meet his spiritual son Mr. Zviad Dzidziguri to have his confession and give him communion. The Father Andria was not even let into the building and his written statement was rejected by the judge who had sent his official refusal with his secretary to be handed to the Archimandrite who was standing in the street waiting for the answer.

The Court announced that the verdict would be pronounced on November 19.

#### Pathological Face of the regime

On October 16, from the early morning the way leading to the building of the Supreme Court was blocked from both sides by the strengthened cordon while the beginning of Zubalashvili street was blocked by the double chain of the policemen. It is noteworthy that the first cordon consisted of the officers of the City Department of the Ministry of Internal Affairs, while the second - was presented by athletic raiders of the internal troops. Nearby stood a well-known detachment of Mr. Mgebrishvili known as a "Black squadron" - a raider detachment of special destination. To penetrate the police cordons turned out to be impossible not only for simple citizens, but also for some relatives of the defendants and journalists. At about 10 a.m. the police arrested the sister of one of the defendants, an aged woman, Mrs. Nanuli Kobalia, who had made a weak attempt to get into the building of the Supreme Court. She was pushed into the grated car and taken to Mtatsminda District Department of Ministry of Internal Affairs. When being detained Mrs. Kobalia felt herself so badly that the executors were impelled to let her daughter Mrs. Rusudan Papaskiri to accompany her. Both women were said that they would be taken to the hospital. Instead they found themselves in the police department where they were told that Mrs. Kobalia was detained for the

hooligan actions.

It is noteworthy that Mrs. Nanuli Kobalia was not allowed to enter the building of the Supreme Court on instruction of Head of the Subdivision of the City Department Mr. David Licheli who motivated his decision by the fact that during the Court Sessions she was removed by the judge from the Court Hall; later when this fact became known to the Embassies accredited in Georgia and international organizations, the head of Mtatsminda District department Mr. Elguja Jamburia told to Mrs. Kobalia that she was not Mr. Vakhtang Kobalia's sister at all. By 12 o'clock when the relatives of the defendants (not all of them) plenty of friends and acquaintances of the victims, policemen in civil clothes and two or three journalists were allowed to the Court Hall, those who happened to remain without the seats, journalists among them, were chased out of the building after which the police with outraged verbal offenses and pushing people started to disperse them from the adjacent streets as well. I is noteworthy that this impressive scene was performed in the presence of the correspondent of "BBC" and the third secretary of US Embassy Mr. Timothy Richardson and had this latter not turned to the document confirming his diplomatic immunity, he would not have escaped the rage of the police.

The people who had gathered at the building of the Conservatory left that place and for several hours were patiently waiting for the end of the Court Session. By about 4 p.m. they were unexpectedly attacked by the masked "boys" from the "Black Squadron" who appeared from Zubalashvili street and started to chase people out the street. For successful conduction of this operation were used the specialized cars and people little by little were ousted to Rustaveli Avenue.

It seems the police were sure that terrorized people would obediently dissipate. Instead the members of Helsinki Union of Georgia opened the enlarged pictures of sentenced to death and placards, a big photo of Eduard Shevardnadze with a Sickle and Hammer the inscription under the photo reading in English "Shevardnadze - a butcher", the photo of the judge Aladashvili with a caption "Murderer" and started to march along one side of the avenue in the direction of the Parliament. At the Ministry of Communications the manifestants were caught by the detachment of special destination and police who after brutal beating of the

manifestants forced them into "Ford" belonging to the detachment of special destination.

Mrs. Lia Beruashvili, Mrs. Nona Dochviri, Mrs. Anna Chavchavadze, Mrs. Klara Shukvani, Mr. Revaz Morgoshia and some unknown lady who occasionally happened to walk there. As we have learned later, on their way to Mtatsminda District Department of the Ministry of Internal Affairs Mr. Mgebrishvili has never ceased to exercise his habitual dirty offenses addressed to the detained citizens, while his "boys" were vigorously beating and pulling women's hair. In relation to this fact the member of IGFM Mrs. Lia Beruashvili, Mrs. Anna Chavchavadze and Mrs. Nona Dochviri declared later that the behavior of Mr. Mgebrishvili, his unheard of dirty offenses demonstrated not only his but also the ruling regime pathological nature and they will spare no efforts to eradicate this dangerous phenomenon. They also stated that it was absolutely unacceptable for deputy head of City Department of Ministry of Internal Affairs Mr. Mikheil Saladze to be regularly drunk and verbally offense the citizens while on duty.

#### Meeting in the US Embassy

On October 18 the representatives of the Georgian society met the third secretary of the US Embassy Mr. Timothy Richardson and political-economy officer Mr. Eric Schultz. In the meeting participated Mr. GA Mrevlishvili, a physicist, professor, honorable member of the New York Academy, Mrs. Lia Andguladze, a philologist, candidate of sciences, Mr. Vakhtang Bochorishvili, professor, head of the Sepsis Center, honorable member of the New York Academy, Mrs. Tina Kereselidze, citizen of France, head of the French department of Human Rights Study Center for Caucasasia, Mrs. Lia Beruashvili, an individual member of IGFM, Mr. Joseph Baratashvili, member of the exiled Supreme Council.

During the meeting the participants discussed the problem of human rights in Georgia, practice of death penalty and issues concerning the political prisoners sentenced to death, the violation of the rights of the citizens and journalists which took place in the course of the Court Session on October 16, dispersal of the peaceful manifestation by the police.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე  
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227  
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia